ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CITY HALL OF SHUAKHEVI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **100-1002231371**
თარიღი: **09/11/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საბჭოა აგრარულ და გარემოს დაცვის

საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

ბატონო ფრიდონ,

თქვენი 2022 წლის 10 ოქტომბრის #09-02-16/639 წერილის პასუხად გეგზავნებათ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კითხვარის მიხედვით.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

<u>დანართი</u>

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

1. ალტერნატიული გათბობის საშუალებების შესახებ მუნიციპალური პროგრამები შემუშავების პროცესშია და სადღეისოდ გათბობის ძირითად საშუალებად საშეშე მერქანი და ელექტროენერგია გამოიყენება. მუნიციპალიტეტი წლიურად 15 ათას კუბურ მეტრ შეშას მოიხმარს, რაც საკმაოდ დიდ ტყის რესურს მოითხოვს. ასევე დასაჩქარებელია გაზიფიცირების პროცესი.

2. ბოლო წლებში საკმაოდ მოიმატა მოსახლეობის მომართვიანობამ მტაცებელი ცხოველების მიერ შინაური ცხოველების შეჭმისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ხეხილის, საფუტკრე მეურნეობის დაზიანების თაობაზე. ამ კუთხით საჭიროა დამცავი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ელექტროღობეების შეძენა, თუნდაც თანადაფინანსების პროგრამით.

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ.№ 30
ტელ.: (0424)26 00 00
ელ.ფოსტა: SHUAKHEVIGG@GMAIL.COM

3. ბოლო წლებში ფართოდ არის გავრცელებული ნაძვის დაავადებები, რის შედეგადაც მასიურად ხმება ნაძვის ხეები, შიშვლდება ზვავდაცვითი ზონები, რაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ზვავსაშიშროებების საფრთხეს უქმნის. კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს წიწვოვანი მცენარეების დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეებს (62 პროცენტი) უჭირავს, სადაც მეტად დიდია ნაძვნარის ხვედრითი წილი, ამიტომ ნაძვნარის დაცვას კიდევ მეტი ყურადღება სჭირდება.

   გამომდინარე იქედან, რომ ტყეკაფებში შემავალი გზები არ არის სათანადო მდგომარეობაში, ძვირია საწვავი, უფრო მეტად ზიანდება გზისპირა და ტყისპირა ზოლები. საგრძნობლად არის შემცირებული უკანონო ჭრები.

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მყარი ნარჩენების მართვის, სოფლების, დასახლებული უბნების, გზების, გზისპირების, მდინარეთა აუზების დასუფთავებას, უმკაცრესი სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დაცვის საკითხებს. გასულ წელს მერიამ შეიძინა ნაგავმზიდი სპეციალური ავტომანქანა, ათეულობით სანაგვე ურნა და რეგულარულად ხდება სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა და ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე ჩატანა. განხორციელდა რიგი სტიქიურად წარმოშობილი ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია, თუმცა ამ კუთხით კვლავ რჩება გამოწვევები. ამჟამად ასეთი ნაგავსაყრელები არ გვაქვს. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ისეთი ღონისძიებების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას. სასურველია საჯარო სკოლებში ისწავლებოდეს ეკოლოგიის ელემენტარული საკითხები.

5. შუახევი აგრარული მუნიციპალიტეტია და აქ მოსახლეობის დასაქმების ძირითად საშუალებას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფოს მხრიდან ამ დარგის დაფინანსება. მცირემიწიანობიდან გამომდინარე მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მეხილეობის, მებაღეობის, მეფუტკრეობის განვითარებას, პროდუქციის შესანახი და გადამამუშავებელი მინი საწარმოების შექმნას, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას. აჭარის მაღალმთიანეთში მოწეული ხილი ეკოლოგიურად სუფთაა და კარგი გემური თვისებებით ხასიათდება. სასურველია სახელმწიფო პროგრამებისადმი მაღალმთიანი რეგიონების კიდევ უფრო მეტი ხელმისაწვდომობის, შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემის უზრუნველყოფა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვს წარმოებული თამბაქოს რეალიზაციაში დახმარებას და ამ დარგის განვითარებაში სახელმწიფოს მხრიდან მეტ ხელშეწყობას. ასევე საყურადღებოა სამკურნალო მცენარეების, გარეული ხილის (მოცვი, ასკილი) დამზადების ხელშეწყობის, რეალიზაციის, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ბაზაზე წარმოების განვითარების ღონისძიებები.

   შუახევის მუნიციპალიტეტში 2014 - 2021 წლებში აგროდაზღვევის პროგრამით დაზღვეულია ჯამურად 70 ჰექტარი, რითაც ისარგებლა 151 ბენეფიციარმა. სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობით მოქმედებს 5 კოოპერატივი, შეღავათიანი აგროკრედიტებით ისარგებლა 7 ბენეფიციარმა. აგროდაზღვევის არეალის გაფართოებას უფრო მეტი ყურადღება და ხელშეწყობა სჭირდება.

   უნდა გადაიხედოს იმ ფერმერთა დახმარების საკითხი, რომელთაც 2500 კვ. მეტრზე ნაკლები სახნავი მიწის ნაკვეთები გააჩნიათ და სამთავრობო პროგრამებში ვერ ხვდებიან.

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ.№ 30
ტელ.: (0424)26 00 00
ელ.ფოსტა: SHUAKHEVIGG@GMAIL.COM

ომარ ტაკიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

6300 დაბა შუახევი
თამარ მეფის ქ.№ 30

ტელ.: (0424)26 00 00
ელ.ფოსტა: SHUAKHEVIGG@GMAIL.COM